საქართველოს მთავრობის

დადგენილება №421

2020 წლის 9 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №362 დადგენილების შეჩერების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 თებერვლის №128 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №362 დადგენილების შეჩერების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 თებერვლის №128 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/02/2020, 010240030.10.003.021839) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, 2020 წლის 1 სექტემბრამდე შეჩერებულ იქნეს „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს №362 დადგენილება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**